PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
”სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება“
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ
(ქ. ფოთი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა ხითარიშვილი

წევრები:

ტიტე ბოლქვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხითარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I.ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☒ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☒ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბიანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის -ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 3 22 0000015116 ბრძანებით (12.01.2022) შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა ხითარიშვილი-თავმჯდომარე;
2. ტიტე ბოლქვაძე-წევრი;

ჯგუფს დაევალა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის-პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს ასევე დაევალა განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების შემოწმება (ქ.ფოთი).

ჯგუფმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდგომში დაწესებულების) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეაჯერა განხილული საკითხები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. კვოტის გაზრდისას დაწესებულება დაეყრდნო იმ გარემობას, რომ 2021 წლის მიღებაზე, დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რიცხვმა შეადგინა 59 მაშინ, როდესაც მისაღები ადგილების რაოდენობა იყო 30. პროგრამის ხანგძლივობა არის 50 კვირა, პროფესიულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ეს კი იწვევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წყვეტას, რისი თავიდან აცილებისთვისაც არის საჭირო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ პროგრამის უწყვეტობას, არამედ ფოთის ფილიალის შესაძლებლობების გაძლიერებას. დაწესებულება გეგმავს ჯამში 45 პროფესიული სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხითარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
მიღებას ორ მიღებაზე. ასევე, აღსანიშნავია, 2021 წლის მიღებაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა შორის 18 იყო ქალი, ხოლო ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა შორის კი - 12. რეგიონში ქალ სტუდენტთა მოზიდვა სამომავლოდ ეკონომიკური/პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე დადებითი კონტექსტში წარმოჩენის ერთ ერთი კრიტერიუმი გახდება გენდერული თანასწორობის მიმართულებით. დაწესებულებას ამ ეტაპზე აღნიშნულ პროგრამაზე ჰყავს 30 პროფესიული სტუდენტი. <u>აღსანიშნავია, რომ ხსენებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა არ მოითხოვს დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის მობილიზებას.</u>

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან გარემოში. ვიზიტის დღის წესრიგის თანახმად, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, პროგრამის განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ბიბლიოთეკარს, პროფესიულ სტუდენტებს და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს. შემოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკაში არსებული, პროგრამით გათვალისწინებული წიგნადი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში ხორციელდება მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ მართვის პრაქტიკის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ აკადემიის ფოთის ფილიალის - „ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის“ სტრუქტურას, მიზნებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და სხვა საკითხებს განსაზღვრავს დებულება, რომლის შესაბამისადაც ცენტრს ჰყავს ცენტრის უფროსი და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ცენტრის სტრუქტურა შედგება: ადმინისტრაციული სამმართველოს, საწვრთნელი ცენტრის, საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოსა და ბიბლიოთეკისგან.

ფოთის ფილიალის თანამშრომლები ანგარიშვალდებულნი არიან ცენტრის უფროსისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ფილიალის სამმართველოს) უფროსის წინაშე. მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შერულებისას. ასევე, აკადემიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებულად ახორციელებენ ცალკეულ ქმედებებს.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში საქმისწარმოება მიმდინარეობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მეშვეობით. ფოთის ფილიალის თანამშრომლები ჩართული არიან სისტემაში. შიდა და გარე საქმისწარმოება სრულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
წარიმართება ელექტრონულად. ფოთის ფილიალის კანცელარიაზე პასუხისმგებელ პირს აქვს შესაბამისი წვდომა დეს-ზე პროგრამის ადმინისტრატორის ფუნქციით, რაც აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად განახორციელოს დოკუმენტაციის მიღება/გაცემა/გატარება. იგი აკადემიის კანცელარიასთან ერთად მუშაობს კოორდინირებულად.

ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის ბიბლიოთეკა სარგებლობს აკადემიის ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებით, სამეცნიერო ელექტრონული ბაზებით, ელექტრონული კატალოგითა და ვებგვერდით. აკადემიაში მოქმედებს ერთიანი საბიბლიოთეკო ელექტრონული ბაზა, რომელზეც დამოუკიდებელი წვდომა აქვს ფოთის ფილიალის ბიბლიოთეკას.

ფოთის ფილიალის ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნადი ფონდით, რომლის მართვა ხორციელდება ადგილზე ფილიალის ბიბლიოთეკის მიერ.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში აღნიშნული პროგრამა შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“ სტანდარტის მოთხოვნებთან. 2.2 და 2.4 კომპონენტები შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“.აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყო სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა და შესაბამისად სასწავლო პროცესი შეუფერხებლად წარიმართა.

ამ წარმოების ფარგლებში ექსპერთა მხრიდან 2.2 და 2.4 კომპონენტები შეფასდა „სრულ შესაბამისად“, შესაბამისად აღნიშნული პროგრამა არის უკვე „სრულ შესაბამისობაში“ სტანდარტის მოთხოვნებთან პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის გათვალისწინებით.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა ამ წარმოების მიზნებიდან გამომდინარე *შესაბამისობის რეკომენდაციები*

ინდიკატორი 2.2.1-1 აუდიტორების ვიზუალური დათვალიერების შედეგად, პროფესიული სტუდენტის და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდების და სკამების რაოდენობა, მოთხოვნილი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
სტუდენტების ზღვრული რაოდენობის-30 გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის არასრულია, რაც ასევე იკვეთება დაწესებულების მიერ დამატებით გადმოგზავნილ ფოტომასალაში. მითითებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, პროგრამის დამატებისთვის უზრუნველყოს განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარის მობილიზება. **შესრულებულია**

<u>ინდიკატორები 2.4.2-1.2</u> - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ შეიცავს ვერიფიკაციის პროცესისთვის შეუსაბამო დებულებებს. გამოკვეთილია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის როგორც ტერმინების, ასევე ტერმინების ქვეშ მოაზრებული პროცესების თანაკვეთა. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის იმგვარი მექანიზმ/ებ/ის შემუშავების შესახებ, რომელიც მკაფიოდ ასახავს პროცესებს, პასუხისმგებელ პირებს, განმახორციელებლებს, ვერიფიკაციის შედეგების განხილვის/დასკვნის მომზადების და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის პრინციპებს. **შესრულებულია**

განმავითარებელი რეკომენდაციები

<u>ინდიკატორი 2.2.1-2</u> ვინაიდან „აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის“ მე-4 მუხლის მე-81 პუნქტი მოწვეულ მასწავლებელთათვის სააუდიტორიო დატვირთვას განისაზღვრავს კვირაში არაუმეტეს 25 საათით, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ და „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება“ პროფესიული მოდულების განმახორციელებლისთვის ორივე პროგრამის ფარგლებში სასწავლო გეგმების მიხედვით, ერთდროული კვირეული დატვირთვა რამდენიმე შემთხვევაში 25 საათზე მეტია, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, შემუშავებული რეგულაცია და მოწვეული მასწავლებლისთვის დაგეგმილი სასწავლო დატვირთვა მოიყვანოს თანხვედრაში. **შესრულებულია**

<u>ინდიკატორი 2.2.1-4</u> ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ ინფორმაცია გაბნეულია სხვადასხვა რეგულაციების სხვადასხვა პუნქტებში, ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, დაწესებულებამ კონსოლიდირებულად ჩამოაყალიბოს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც იქნება შესაბამისი რეგულაციის ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელი საფუძვლიანად არ იცნობს მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, ნათლად ვერ ხსნის მის მიერ შესრულებულ სამუშაოებს პროგრამის შემუშავებისას და აქედან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება პროგრამის განხორციელების ეტაპისთვის მასზე განსაზღვრული ფუნქციების ჯეროვანი შესრულების საკითხი, ექსპერტების რეკომენდაციაა დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის პრინციპების/პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობების/პროგრამის ხელმძღვანელის სისტემაში ინტეგრაციის მიდგომების გადახედვა/სამუშაოს შესასრულებლად პროგრამის ხელმღვანელის მომზადების მიზნებისთვის დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა. **შესრულებულია**

<u>ინდიკატორი 2.2.1-7</u> სასურველია დაწესებულებამ **ბიუჯეტირებისას** განიხილოს პროფესიულის სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერისა და განმახორციელებლების პროფესიული განვითარების დაფინანსების შესაძლებლობები. **შესრულებულია. კატეგორია „სხვა ხარჯების“ ნაწილში არის გათვალისწინებული.**

<u>ინდიკატორი 2.4.1-2</u> რეკომენდებულია, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლის ჩანაწერები საჭიროა ითვალისწინებდეს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსს, პროფესიული სტუდენტების მიერ მათი კანონიერი უფლებით სარგებლობის შესახებ - პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

რეკომენდებულია ამავე წესის მე-13 მუხლი „პროფესიული სტუდენტის მობილობა (გარე მობილობა და შიდა მობილობა) და მიღებული განათლების აღიარების“ შესახებ და მე-11 მუხლი „პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენის შესახებ“ გადაიხადოს ვადების (სტატუს შეჩერების 5 წლიანი ვადა), ტერმინების (პირველადი საფეხური) და საფუძვლების (მინისტრის ბრძანების რეკვიზიტები) ნაწილში და დაეყრდნოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N120/ნ ბრძანებას „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებას „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბიბილეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ და 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებას „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ დამტკიცების შესახებ. **შესრულებულია**

<u>**ინდიკატორი 2.4.1-4**</u> სასურველია დაწესებულებამ დამტკიცებულ რეგულაციებში ჩაშალოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენების შესაძლო შემთხვევები, აღწეროს პროცესები, მათ შორის თუ რას მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე განსაზღვროს შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელი პირები. **შესრულებულია**

<u>**ინდიკატორები 2.4.2-1,2**</u> საჭიროა რეგულაცია მოიცავდეს ზუსტ ჩანაწერებს, თუ რა ვადებში, რამდენჯერ და რა პირობებით ეძლევა პროფესიულ სტუდენტს განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა და როგორია დამატებითი შეფასებისთვის საჭირო შეფასების ინსტრუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები.

დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის შეფასების გასაჩივრების ნაწილში გამართოს რეგულაცია სხვადასხვა შემხვედრი საჭიროების გათვალისწინებით, განსაზღვროს პროცედურები გონივრული ვადების მითითებით და ამასთანავე, მნიშვნელოვანია მექანიზმი ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრებას, **როგორც პროცედურულ, ასევე შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით. ნაწილობრივაა შესრულებული. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესში არ არის გამიჯნული გასაჩივრება ეხება პროცედურულ დარღვევებს თუ შინაარსობრივ საკითხებს.**

<u>**ინდიკატორი 2.4.2-4**</u> რეკომენდებულია, დაწესებულებაში გავრცელებული მიდგომა პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების შეფასების გაცნობის და უკუკავშირის მიწოდების შესახებ აისახოს შესაბამის რეგულაციაში. **შესრულებულია**

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1-6 დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში დააკონკრეტოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი და ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა

დაწესებულება გამოხატავს მზაობას უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესი, საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა. ამასთან დაკავშირებით, აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/4 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში მონაწილე/პროცესზე პასუხისმგებელი პირები და ვადები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სასწავლო პროცესში ადაპტაციისათვის გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლა ან/და დამატებითი სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება. ინდივიდუალური გეგმის განსახორციელებლად პროფესიული განათლების მასწავლებელი გამოიყენებს სწავლების განსხვავებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს, საჭიროების შემთხვევაში-დამატებით ადაპტირებულ ტექნიკური აღჭურვილობასა და ინფრასტრუქტურას, საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალასა და ნედლეულს, შეცვლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. სასურველის წარმოდგენილ დოკუმენტში დაკონკრეტდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მოახდენს **სასწავლო რესურსების შინაარსობრივ და ვიზუალურ ადაპტირებას, (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბიბილეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

<u>ინდიკატორი 2.4.1 -1.</u> დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია სატვირთი გადაზიდვის ლოგისტიკის ოპერირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია რომ „ თუ მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ამ მოდულის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში, განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი“. „საწარმოო პრაქტიკა-სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ წარმოადგენს „პრაქტიკული პროექტის სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში სასწავლო გეგმაში აღარ არის გამოყოფილი ვადა სწავლის შედეგის ხელახალი (განმეორებითი) დადასტურებისთვის.

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში / Secondary Vocational Qualification in Logistics

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	სენატის გადაწყვეტილება № 16/7, 26.11.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ N24
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	45
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრულად შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		სრულად შეესაბამება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბოლქვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 15 ივნისის MES 9 21 0000576698 გადაწყვეტილებით მიეცა უფლება განახორციელოს სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფოთში წმ.გიორგის ქ.N24 და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 30 ადგილით. დაწესებულებამ დამატებით მოითხოვა აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების გაზრდა -15-ით და ჯამში მოთხოვნილი ადგილების რაოდენობამ შეადგინა - 45 პროფესიული სტუდენტი ორ მიღებაზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი (დამტ. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 26 ნოემბრის N16/2 გადაწყვეტილება), რომლის მიხედვითაც განსაზღვრული აქვს სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. აღნიშნული წესის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო ოქმის N 2 ის შესაბამისად, დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს სამი B გარემო 107, 310 და 311 აუდიტორიები, ერთი A გარემო 103 აუდიტორია, ერთი AC გარემო - 102 აუდიტორია და ერთი C გარემო 101 აუდიტორია. პროგრამის ხანგძლივობაა 50 სასწავლო კვირა, ორი სხვადასხვა ჩარიცხვის ჯგუფის სასწავლო პროცესის ერთდროულად მიმდინარეობის შემთხვევაში აუდიტორიების გამტარუნარიანობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით აღნიშნული პროგრამისთვის განსაზღვრულია მხოლოდ A და B სასწავლო გარემო, თუმცა დაწესებულებას დამატებით აქვს გამოყოფილი C გარემოც.

A სასწავლო გარემო აუდიტორია #103 - 15 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში 30), რომელიც მხოლოდ ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 19 ერთეული მაგიდა პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი;
- 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;

A/C სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია აუდიტორია #102 - 15 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში 30), აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და მასალა ნედლეულით, რომელიც განსაზღვრულია პროგრამით:

- 18 ერთეული მაგიდა პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი;
- 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

C სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია აუდიტორია #101 - 15 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში 30), აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და მასალა ნედლეულით, რომელიც განსაზღვრულია პროგრამით.

B სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია აუდიტორია #107 -გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში 30), აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 კომპლექტი სამაგიდე კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 კომპლექტი სამაგიდე კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი;
- 1 ერთეული კომბაინი.

B სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია აუდიტორია #311 - 15 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში 30), რომელიც აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 კომპლექტი სამაგიდე კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის
- 1 კომპლექტი სამაგიდე კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის
- 1 ერთეული დაფა
- 1 ერთეული პროექტორი
- 1 ერთეული პრინტერი.

B სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია აუდიტორია #310 - 15 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში 30), რომელიც აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 კომპლექტი სამაგიდე კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის
- 1 კომპლექტი სამაგიდე კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის
- 1 ერთეული დაფა
- 1 ერთეული პროექტორი - 1 ერთეული პრინტერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბიბილეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
პრაქტიკის გასავლელი ობიექტის ხელმისაწვდომობა და სტუდენტთა მომსახურების შესაძლებლობები კონკრეტულ ობიექტზე განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებით:

- შპს ელიტ სერვისი (30/08/2018) - 10 პროფესიული სტუდენტი ყოველწლიურად;
- შპს სერვის პლიუსი (01/11/2021) – 30 პროფესიული სტუდენტი ყოველწლიურად;
- შპს სოფმარი (01/11/2021) - 30 პროფესიული სტუდენტი ყოველწლიურად;
- შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია (01/11/2021) - 30 პროფესიული სტუდენტი ყოველწლიურად;
- შპს ტრანსფორდი (03/02/2022) - 30 პროფესიული სტუდენტი ყოველწლიურად.

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით, ხელშეკრულებებში მითითებულია პროგრამა და მოდულები, რომელთა სწავლის შედეგები მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე. განსაზღვრულია მხარეთა-უფლება მოვალეობები, საიდანაც ჩანს, რომ პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებაა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტები სასწავლო პროცესში მოდულით გათვალისწინებული მატერიალური ბაზით და გამოყოს თანამშრომელი/ინსტრუქტორი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მონაწილეობას სასწავლო პროცესში. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი (45) გაზრდილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით, ნანახი მატერიალური რესურსით და პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებით.**

2. პროგრამის განხორციელების მიზნით, კოლეჯმა შრომითი ხელშეკრულება გააფორმა 17 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, აქედან 10 ზოგადი მოდულებისთვის, ხოლო 7 პროფესიული მოდულებისთვის.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, **მასწავლებელთა დატვირთვა და რაოდენობა უზრუნველყოფს პროფესიული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

3. ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. ექსპერტები დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგებს. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება და გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი (დამტ. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 26 ნოემბრის N 16/10 გადაწყვეტილება) რომელშიც გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის გზები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქციები. სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების პროფესიული საგანანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია აღნიშნული წესის შესაბამისად რაც დასტურდება 2021 წლის 9 თებერვლის #2/5 გადაწყვეტილებით პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ და მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება“ ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით - დიპლომით და გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ბეჭდური სახით. დაწესებულებას საგანმანათლებლო რესურსის ნაწილი განთავსებული აქვს ელექტრონულ ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ჩაწერილი მკითხველებისათვის, მათთვის მინიჭებული ელექტრონული კოდის გამოყენებით. ძირითადად, პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, ხორციელდება საგანამანთლებლო რესურსების გამოყენება ელექტრონული ბაზის საშუალებით. დაწესებულებას აქვს დაშვება საკანონმდებლო მაცნესთან.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6.პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას არ მიუღია სსსმ პირი, შესაბამისად არ დამდგარა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება. დაწესებულება გამოხატავს მზაობას უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესი, საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა. ამასთან დაკავშირებით, აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/4 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში მონაწილე/პროცესზე პასუხისმგებელი პირები და ვადები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სასწავლო პროცესში ადაპტაციისათვის გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლა ან/და დამატებითი სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება. ინდივიდუალური გეგმის განსახორციელებლად პროფესიული განათლების მასწავლებელი გამოიყენებს სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
განსხვავებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს, საჭიროების შემთხვევაში-დამატებით ადაპტირებულ ტექნიკური აღჭურვილობასა და ინფრასტრუქტურას, საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალასა და ნედლეულს, შეცვლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. სასურველის წარმოდგენილ დოკუმენტში დაკონკრეტდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მოახდენს **სასწავლო რესურსების შინაარსობრივ და ვიზუალურ ადაპტირებას, (მაგ მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ) შესაბამისად, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროგრამული და ვაუჩერული დაფინასნებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი. ბიუჯეტში განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი - 8 პროფესიული სტუდენტი. შემოსავლის სახეობაში მითითებულია ვაუჩერული და პროგრამული დაფინასნება, ხოლო ხარჯვით ნაწილში გაწერილია ისეთი ხარჯი როგორიცაა: შრომის ანაზღაურება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის, შრომის ანაზღაურება აკადემიური და საათობრივად მოწვეული პერსონალისთვის, სახარჯი მასალები, მივლინება, კომუნალური მომსახურების ხარჯი და სხვა ხარჯი.

შესაბამისად დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი (დამტ. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 26 ნოემბრის N16/2 გადაწყვეტილება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი (დამტ. სენატის 2021 წლის 1 ოქტომბრის N14-4 გადაწყვეტილება) ;
- სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო სხდომის ოქმი N 2 27.12.2021;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი (დამტ. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 26 ნოემბრის N 16/10 გადაწყვეტილება)
- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტ.ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის N 10/10 გადაწყვეტილება)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები, სასწავლო გეგმა ;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის სქემა;
- აუდიტორიების დატვირთვის სქემა;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები;
- პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- დაწესებულების ბიბლიოთეკა;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო და კალენდარული გეგმები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება“ სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის კვირეული საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია რომ „თუ მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ამ მოდულის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში, განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი“. „საწარმოო პრაქტიკა-სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
„პრაქტიკული პროექტის სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში სასწავლო გეგმაში აღარ არის გამოყოფილი ვადა სწავლის შედეგის ხელახალი (განმეორებითი) დადასტურებისთვის. **დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია სატვირთი გადაზიდვის ლოგისტიკის ოპერირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან.**

ვიზიტის დროს მოხდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით. **პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად.**

2. ინტერვიუირებისას დაწესებულების წარმოამდგენლება აღნიშნეს, რომ ზოგადად, დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკით სწავლება პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი აქვს: პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიული სტუდენტის მობილობის (შიდა მობილობა და გარე მობილობა), მიღებული განათლების აღიარების, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენის და სტატუსის შეწყვეტის მექანიზმები.

ინტერვიუირებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სწავლების პერიოდში არ მიუმართავთ დაწესებულების ადმინისტრაციისთვის რაიმე სახის დახმარებისთვის, თუმცა დარწმუნებულები არიან რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებას ექნება შესაბამისი რეაგირება.

შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ პროგრამაზე სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შესაბამისად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას სპეციალაური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, სტატუსაღდგენილი, მობილობით გადმოსული და სხვა საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა და განსაზღვრულია პროცესში მონაწილე/პროცესზე პასუხისმგებელი პირები. ამ ეტაპზე დაწესებულებაში არ დამდგარა ინდივიდულაური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან: შპს „ელიტ სერვისი“ , შპს „სერვის პლიუსი“ , „შპს სოფმარი“ , „შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია“ , შპს „ტრანსფორდი“ .

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია ავტორიზაციის ვადით. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში მოთითებულია პროგრამა და მოდულები რომელთა სწავლის შედეგები მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე. განსაზღვრულია მხარეთა-უფლება მოვალეობები, საიდანაც ჩანს, რომ პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებაა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტები სასწავლო პროცესში მოდულით გათვალისწინებული მატერიალური ბაზით და გამოყოს თანამშრომელი/ინსტრუქტორი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მონაწილეობას სასწავლო პროცესში. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან. გასაუბრების შედეგად დადასტურა პრაქტიკის ობიექტის მზაობა პროფესიული სტუდენტების მისაღებად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შესაბამისად, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება“ არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიურ უსაფრთხოების პირობების შექმნას/დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტ.ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის N 10/10 გადაწყვეტილება);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- კალენდარული გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან;
- ინტერვიუს შედეგები პროფესიული გაანთლების მასწავლებლებთან;
- ინტერვიუს შედგები პროფესიულ სტუდენტებთან

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის თანახმადაც დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები სასწავლო პროცესში გამოყენებამდე გადის ვალიდაციას, რათა შემოწმდეს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარე. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას ახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი. რეგულაციაში დაწესებულებას გაწერილი აქვს თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების სისტემა, ის უნდა იყოს ვალიდური, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე და სანდო.

დაწესებულების რეგულაციის თანახმა, ობიექტური შეფასება უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. შეფასების კრიტერიუმები ცნობილი უნდა იყო პროფესიული სტუდენტისათვის. დაწესებულებას გაწერილი აქვს განმეორებითი შეფასების პროცედურა და წესი, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ მათთვის წინასწარ არის ცნობილი შეფსების კრიტერიუმები.

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2. საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის განმახორციელებლი წესში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, რომელიც გულისხმობს:

- შეფასების ინსტრუმენტების შეფასებას;
- შეფასების პროცესის შეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- შეფასების მტკიცებულებების შეფასებას;

ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შერჩევის მექანიზმებს (რისკების სისტემას), ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, ვერიფიკაციის პროცედურას. ვერიფიკაციამ უნდა დაადასტუროს, რომ დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური და ვალიდური. ვერიფიკაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულების მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. ვერიფიკაციას დაწესებულება ახორციელებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ. ვიზიტისას დაწესებულებას არ ჰქონია აღნიშნულ პროგრამაზე ვერიფიკაცია ჩატარებული, რადგან სასწავლო გეგმით გათვალიწინებული პირველი ეტაპი ჯერ არ დასრულებულა. თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც მოხდება პროგრამაში შემავალ მოდულებზე ვერიფიკაციის განხორციელება.

შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3.დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის განმახორციელებლი წესი, რომლის მიხედვითაც პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება უწყისით, რომელიც ინახება უვადოდ, ხოლო შეფასების ინსტრუმენტის შესრულების მტკიცებულებები, რომლებიც აღირიცხება ელექტრონულად, ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის ვადით. მტკიცებულებები კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ ერთ თვეში ნადგურდება ან გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს.

შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებული სამუშოს შესახებ, ინდივიდუალურად ელექტრონული ფოსტის საშუალებით. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათი ინფორმირება სწავლის შედეგების შესახებ ხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
დაწესებულების მარეგულირებელ ნორმაში გაწერილი პროცედურების შესაბამისად. ასევე პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას.

შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 29. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა (დამტ.ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის N 10/10 გადაწყვეტილება)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 31. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი (დამტ.ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის N 10/10 გადაწყვეტილება)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 32. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია (დამტ.ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის N 10/10 გადაწყვეტილება)
- ვერიფიკაციის გეგმა;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და მტკიცებულებები;
- ინტერვიუს შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთნ;
- ინტერვიუს შედეგები პორფესიულ სტუდენტებთან;
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების წარმომადგენლებთან;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

17.02.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------